



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იორამისა და კირილეს ელჩობა

იორამისა და კირილეს ელჩობა, რუსეთში 1592–93, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში.

კახეთიდან რუსეთში გაბრუნებულ პლეშჩეევის ელჩობას თან გაჰყვნენ ქართვე. ელჩები – თავადი იორამი და კირილე არქიმანდრიტი, რ-ებიც რუს. ხელმწიფეს მფარველობის პირობის შესრულებას სთხოვდნენ. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ საშამხლო-დაღესტნის დაპყრობას, თერგიდან კახეთამდე გზის განმენდას და ზარბაზნის ოსტატებისა და არტილერისტების გაგზავნას კახეთში. ქართვე. ელჩების ენერგიული მცდელობის შედეგად ბორის გოდუნოვმა საშამხლოს წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

ვ. მაჭარაძე
